ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 97233072
თარიღი:03/11/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N- 17

დ. ლენტეხი. 27ოქტომბერი 2023წ

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 (ცამეტი)წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 8(რვა) წევრი. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რწმუნებულის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანი, მუნიციპალიტეტის მერის

პირველი მოადგილე მარადი ლიპარტელიანი, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მერის წარმომადგენლები თემებში.

მოისმინეს: საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს. ლამზირა გუგავა/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე.**

   /მომხს. მევლუდ ლიპარტელიანი/

3. **სოფელ ჩუკულიდან ცალკე დასახლების ,,ლეკუმბასტის“ გამოყოფის თაობაზე მერიის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.**

   /მომხს. სოსო ავალიანი/

4. **სოფ. ჭველიერში მდებარე უძრავი ქონების ს.კ 87.05.32.002, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 716,00 კვმ შენობა -ნაგებობით (ყოფილი სკოლა ინტერნატი) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის თაობაზე.**

   /მომხს. დალი ტვილდიანი/

5. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წინადადებაზე - იაპონიის**

საელჩოსაგან 72933 (სამოცდათორმეტიათას ცხრაასოცდაცამეტი) აშშ დოლარის გრანტის მიღებაზე.

/მომხს. მარადი ლიპარტელიანი/

6.სხვადასხვა.

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით;

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავავმ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ USAID- ის პროგრამის ფარგლებში განხილული იქნა საკრებულოს რეგლამენტი. შევიდა ცვლილებები რეგლამენტის რამდენიმე მუხლში. დაიხვეწა საკითხები მუხლების და პუნქტების მიხედვით. მან დეტალურად გააცნო სხდომის წევრებს მომზადებული დადგენილების ცვლილების პროექტი.

აზრი გამოთქვა : მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ - რომ

არასწორად არის ჩამოყალიბებული 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი. სადაც წერია, რომ ,,რეგლამენტის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა კანონით და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ეკისრება მერიის თანამდებობის პირებს.“ მისი წინანდადებით უნდა ეწეროს პირველ რიგში ,,პასუხისმგებლობა ეკისრება საკრებულოს“.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოს პასუხისმდებლობა იგულისხმება ჩანაწერში - ,,აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებს, რომლებსაც ევალებათ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა“.

სხვა შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით - მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინესს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო მომზადებული დოკუმენტაცია გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა.რომ სოფ. სასაშის სკოლის სამეურვეო საბჭო ითხოვს სკოლას მიენიჭოს დამსახურებული პედაგოგის გრიგოლ ონიანის სახელი. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე და მიღებული იქნას შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამავე დროს შემოსულია სოფ. ჟახუნდერის მოსახლეობის განცხადება - სოფ. ჟახუნდერის კულტურის სახლს და ჯატიშერის უბანში ქუჩას მიენიჭოს ნაადრევად გარდაცვლილი, ყველასთვის საყვარელი მწერლის ანა ლაშხელის სახელი. კომისიის დასკვნის თანახმად დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და შეგვიძლია მომზადებული დოკუმენტაცია გადავაგზავნოთ სამთავრობო კომისიაში.

განხილული იქნა მესამე განცხადებაც. აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ტარიელ ონიანის სახელი მიენიჭოს სოფ ჟახუნდერში სოფელში შემავალ პირველ ქუჩას. ამ საკითხზეც დოკუმენტაცია სრულყოფილად არის მომაზდებული და კომისიის

გადაწყვეტილების თანახმად უნდა გაიგზავნოს სამთავრობო კომისიაში.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - საკითხი სრულყოფილად არის მომზადებული და კენჭს ვუყრით განკარგულების პროექტს - სამეურვეო საბჭოსთვის თანხმობის მიცემას, რაც შეეხება ანა ლაშხელის და ტარიელ ონიანის საკითხებზე მომზადებულ სდოკუმენტაციას განკარგულების პროექტებთან ერთად შესათანხმებლად გავუგზავნით სამთავრობო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხიუს მუნიციპალიტეტის სოფ. სასაში საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის - სოფ. სასაშის საჯარო სკოლისთვის რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის გრიგოლ ონიანის სახელის მინიჭების თაობაზე.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - სოფ. სასაშის საჯარო სკოლისთვის რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის გრიგოლ ონიანის სახელის მინიჭების თაობაზე.

4.მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - სოფელ ჩუკულიდან ცალკე დასახლების ,,ლეკუმბასტის“ გამოყოფის თაობაზე მერიის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა წერილი. წერილის თანახმნად აუცილებელი იყო დაზუსტებული მონაცემების გაგზავნა ლეკუმბასტის თობაზე.საკრებულომ მერიას დაავალა დამატებით მოემზადებინა საკითხის დამაზუსტებელი დოკუმენტაცია. მერიამ მოამზადა დამატებითი დოკუმენტაცია და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. კომისიის დასკვნის თანახმად მომზადებული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. დოკუმენტაციას თან ერთვის კომისიის დასკვნა.

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - დამატებით მომზადებული დოკუმენტაცია სოფელ ჩუკულიდან ცალკე დასახლების ,,ლეკუმბასტის“ გამოყოფის თაობაზე გადაიგზავნება სამთავრობო კომისიაში.

5.სმოისმინეს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა წარმოადგინა პროექტი - სოფ. ჭველიერში მდებარე უძრავი ქონების ს.კ 87.05.32.002, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 716,00 კვმ შენობა -ნაგებობით (ყოფილი სკოლა ინტერნატი) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა განმართა, რომ აღნიშნული საკითხი შეისწავლა კომისიამ. დაზუსტდა ზუსტი მონაცემები და კომისიამ მიზანშეწონილად ჩატვალ, რომ აღნიშნული ქონება შეტანილი იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - სოფ. ჭველიერში მდებარე უძრავი ქონების ს.კ 87.05.32.002, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 716,00 კვმ შენობა -ნაგებობით (ყოფილი სკოლა ინტერნატი) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის თაობაზე.

6. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ მარადი ლიპარტელიანმა აღნიშნა, მიმდინარე წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში,,ადამიანის უსაფრთხოება“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, პროექტი ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტისატვის მძიმე ტექნიკის შეძენა კატასტროფებისადმი რეაგირებასა და რისკის შემცირებისათვის“ დონორის მიერ დაფინანსდება 72933 (სამოცდათორმეტიათას

ცხრაასოცდაცამეტი) აშშ დოლარის ოდენობით. შესაბამისად მომზადებულია განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წინადადებაზე - იაპონიის საელჩოსაგან 72933 (სამოცდათორმეტიათას ცხრაასოცდაცამეტი) აშშ დოლარის გრანტის მიღებაზე.

საკრებულოს წევრებისთვის ეს ინფორმაცის იყო ძალიან მისაღები და სასიამოვნო.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წინადადებაზე - იაპონიის საელჩოსაგან 72933 (სამოცდათორმეტიათას ცხრაასოცდაცამეტი) აშშ დოლარის გრანტის მიღებაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ დღის 14 საათზე საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი